წერილის ნომერი: **17-01193243817**
თარიღი: **20/11/2019**
პინი: **2002**

ადრესატი: შპს ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 206063383
მისამართი: წინანდლის ქ. 27

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/01193151885-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, წინანდლის ქუჩა N27 (საკ. კოდი N01.17.13.001.074) 2018 წლის 3 დეკემბრის N4246324 (AR1637001) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

1-4 ფასადზე: 0.00 ნიშნულზე 2-3 მონაკვეთში შეცვლილია კარის და ვიტრაჟის ნახატი. გაზრდილია ვიტრაჟების სიმაღლე.

+3.65 ნიშნულზე 2-3 მოანკვეთში გაუქმებულია დეკორატიული ელემენტები.

ამავე ნიშნულზე 3-4 მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟების სიმაღლე +9.64 ნიშნულამდე.

ფასადზე ლესვის და ღებვის ნაცვლად მოწყობილია მოპირკეთება.

ა-გ და გ-ა ფასადზე: ა-ა ღერძის გარეთ +3.25 ნიშნულზე მოწყობილია მოპირკეთება. ბ-გ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მინაბლოკები.

4-1 ფასადზე: დამატებით მოწყობილია მონაბლოკები. +9.64 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ლითონის ნაშვერები.

გეგმების მიხედვით: გაუქმებულია სარდაფის სართული.

0.00 ნიშნულზე 2-3 მონაკვეთში გაზრდილია კარის სიგანე. შემცირებულია კედლების სისქე, რის ხარჯზეც გაზრდილია შიდა ფართი. შეცვლილია კოლონების კვეთი. დამატებით მოწყობილია რიგელები. დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. მონოლითური და ბლოკის კედლები არ არის ნაჩვენები განსხვავებული დაფერვით.

+6.65 ნიშნულზე ბ-გ 4-3 მონაკვეთში ფილაში გაზრდილის კიბის ღიობის გაბარიტები. მონოლითური გადახურვის ფილის ნაცვლად მოწყობილია ლითონის გადახურვა. გაზრდილია სართულის სიმაღლე. დამატებით მოწყობილია ლითონის სვეტები და კონსტრუქციული ელემენტები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი